



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კაკულია იური სიმონის ძე



ი. კაკულია

კაკულია იური სიმონის ძე (17. I. 1923, ხარაგაული, - 2. III. 1997, თბილისი), რეჟისორი. საქართვე. სახალხო არტისტი (1985). 1946, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტზე, რ-იც 1952 დაამთავრა. 1953-55 იყო კულტ.-საგანმან. სასწავლებლისა და თეატრ. ინ-ტის პედაგოგი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა რეჟისორად, დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად ქუთაისის (1962-63, 1970-72, 1982-85), 1956-58 და 1967-68, 1979-82), ჭიათურის (1958-60), თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. (1964-67), რუსთავის (1972-75 და 1989), გორის (1975-79), ს. ახმეტელის სახ. (1986-88) და პანტომიმის (1988-89) სახელმწ. თეატრებში. მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: სოხუმის თეატრში - ი. ჭავჭავაძის „კეთილი მეზობლები“ და „მამლუქი“ (1956), ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“ (1979),

ლ. ტოლსტოის „კაზაკები“ (1981); ქუთაისის თეატრში - ა. ყაზბეგის „განკიცხულნი“ („მამის მკვლელის“ მიხედვით, 1982), ს. მარშაკის „წელიწადის თორმეტი თვე“ (1984); კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში - ჯ. სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ (1964); გორის თეატრში - სოფოკლეს „ანტიგონე“ (1976); ჯ. ოსბორნის „მოიხედე მრისხანების ჟამს“ (1977), მ. ხეთაგურის „თეთრი პალატა“ (1978), ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“ (1977); ს. ახმეტელის სახ. თეატრში - ი. ჭავჭავაძის მიხედვით „ბაბალეთისა ტბის ძირას“, ბ. ბრეხტის „დედილო კურაჟი და მისი შვილები“, შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“. კ-ს

რეჟისურა ხასიათდებოდა აქტიური, მაძიებლური ხასიათით. 1978 დ. კლდიაშვილის „უბედურებისა“ და „მსხვერპლის“ დადგმისათვის დაჯილდოვდა ა. პოპოვის სახ. მედლით, ხოლო 1979 ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის“ განხორციელებისათვის – კ. მარჯანიშვილის სახ. პრემიით. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996).

---